1921

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო

ვაზი და ღვინო

წელიწადი მეორე.

№ 1 იანვარი 1921 წ. № 1

შინაარსი:

1. საძეურნეო ყრილობათა კვირა.
2. მოწოდება.
3. მეღვინე-მევენახეთა მე-2-რე ყრილობის პროგრამა.
4. ამავე ყრილობის ინსტრუქცია
5. მოხსენება რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
6. სასოფლო-მეურნეობის პალატის პროგრამა.
7. ღვინის წარმოება.

[illegible] 194 წ.
9/VI 50 ცალი
№ 60

ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არანაკლებ 16 გვერდისა, თითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია 50 მან. ამ ფასით ჟურნალის გამოწერა შეიძლება სამი თვით.

ჟურნალის რედაქცია იმყოფება საბჭოს ბინაზედ—თბილისი, ნინოშვილის ქუჩა № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელ მევენახეთა კოოპ. საზოგადოება

კავშირთ-კავშირი

თბილისი რუსთველის ქუჩა № 33

კახეთი, სადგური „მუკუზანი," კახეთის რკინის გზა.

,,კავშირთ-კავშირი'' დაარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის ხალხქო სასამართლოს მიერ 1919 წლის 8 თებერვალს. ,,კავშირთ-კავშირში'' შედიან ველისცხის, გურჯაანის და კარდანახის შემნახველ გამსყიდველი ამხანაგობანი 4400 წევრით, რომელთაც 4200 დესეტინა ვენახი აქვთ.

,,კავშირთ-კავშირის'' გამგეობა, მთავარი კონტორა და საწყობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუზანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ყრილობა-თა კვირა

საბოფლო სამეურნეო ბალატის საორგანიზაციო კომიტეტი ყოველ სამეურნეო დარგის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით იწვევს ქ. თბილისში.

20—22 თებერვალს მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობას

23—24 „ მეღვინე-მევენახეთა

25—26 „ მეთამბაქოეთა

27—28 „ მეხილე-მებაღეთა

1—2 მარტს მხვნელ-მთესველთა

ხოლო **3** მარტს შესდგება გაერთიანებული სხდომა ყველა ყრილობების წარმომადგენლებისა საბოფლო-სამეურნეო ბალატის მმართველ ორგანოების ასარჩევად.

ყრილობები მოხდება საბოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზედ ნინოშვილის (ყოფ. ბარიათინსკის) ქ. **№ 5**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოდება

მოქალაქენო სოფლის მეურნენო!

მესამე წელიწადია რაც ჩვენი აღდგენილი სახელმწიფო თავგამოდებით და შეუდრეკელათ იცავს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მესამე წელიწადია რაც ჩვენი სამშობლოს მშრომელი მარჯვენის უმეტესი ნაწილი გამუდმებით და ერთი მეორის შეცვლით იარაღით ხელში ღირსეულად იცავს ჩვენს საზღვრებს და გვიფარავს მოზღვავებულ მტრის მიერ გათქერისაგან. ჩვენი საუკეთესო შვილთა თავგანწირვამ და მამულის სიყვარულმა იხსნა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან: ჩვენი სახლკარი, ჩვენი ოჯახი არ ყოფილა აწიოკებული როგორც მაგალითად ჩვენს მეზობელ სომხეთ-აზერბაიჯანში, მაგრამ ჩვენი ძლიერებისთვის და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის არ კმარა მხოლოდ საზღვრები გვქონდეს გამაგრებული—საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაც; საჭიროა შევქმნათ და გავამრავლოთ ჩვენი ქონებრივი დოვლათი; საჭიროა გავუძღვეთ ჩვენს სახელმწიფოს და ოჯახურ ხარჯებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე. მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი კურთხეული სამშობლო მდიდარია ბუნების მრავალ ფეროვანობით და, მიუხედავად ამისა, მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ ომისა და რევოლიუციის და შემდეგ კი ჩვენი მოუწყობლობის და შეუკავშირებლობის წყალობით თანდათან უკან-უკან მიდის: სოფელი გაღატაკდა, იგი ჩაუცმელ-დაუხურავია, მას აკლია პირველ საჭიროების საგნები, უძველესი და უკეთილშობილესი ჩვენი სოფლის მაღალ-კულტურული დარგები მეცხვარეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა და სხვა ისპობა. მხვნელ-მთესველთ აღარა ჰყავთ მუშა საქონელი, აღარა აქვთ გუთანი და სხვა იარაღი და ჩვენი სახელმწიფოს არსებობის საფუძველი კი სწორედ სოფლის მეურნეობაა—ამიტომ უაღრესად საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ამოძრავება სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად და მტკიცე სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის შესაქმნელად. ამისათვის კი საჭიროა მთელ ჩვენ მეურნეთა შეკავშირება და დარაზმვა. საჭიროა მათი გაერთიანება დარგთა მიხედვით და სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, საჭიროა დრო გამოშვებით, მაგრამ სისტემატიურად იმართებოდეს ყოველ დარგის ყრილობები, სადაც მეურნეთ საშუალება მიეცემათ გაუზიაროონ ერთმანეთს თვისი გასაჭირი, დაკვირვებანი და საერთო საშვალებით გაიკვლიონ ახალი გზები, რომელნიც იხსნიან ჩვენს მეურნეობას განსაცდელისაგან. საჭიროა შეიქმნენ ყოველ სამეურნეო დარგის დამცველი, ასე ვსთქვათ, პროფესიონალური ინტერესების გამომხატველი მუდმივი ორგანოები და ამ ორგანოთა შეთანხმებული მოქმედება სწარმოებდეს ერთს გაერთიანებულ დაწესებულებაში—სასოფლო სამეურნეო პალატაში. და სწორედ ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო პალატის საორგანიზაციო კომიტეტი ყოველ მნიშვნელოვან დარგთა წარმომადგენელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მომავალ თებერვალში იწვევს მთელ რიგ სხვა და სხვა სამეურნეო დარგთა ყრილობებს. ამ ყრილობებზე დასწრება შეუძლია ყველა მეურნეს, ხოლო სრულ უფლებიან წევრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენლობა განსაზღვრულია ყოველ ყრილობისთვის შემდგარ განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

ყრილობები შესდგება:

20—22	თებერვალს	მეცხვარე-მესაქონ.
23—24	„	მელვინემევენახეთა
25—26	„	მეთამბაქოეთა
27—28	„	მეხილე-მებაღეთა
1—2	მარტს	მხვნელ-მთესველთა

ხოლო 3 მარტს შესდგება გაერთიანებული კრება ყველა ყრილობების წარმომადგენელ საბჭოებისა სასოფლო-სამეურნეო პალატის მმართველ ორგანოთა ასარჩევად.

სოფლის მეურნეონ, მეტის ყურადღებით მოეპყარით თქვენს საკუთარ საქმეს.... გაგვაგებინეთ თქვენი გასაჭირი... გაგვიზიარეთ თქვენი მდგომარეობა და დაკვირვებანი. დაესწარით ყრილობებს.

მელვინე-მევენახეთა მე-2 ყრილობის პროგრამა

(წესრიგი)

(1921 წლის თებერვლის 23—24).

1. ყრილობის საბჭოს წარსული წლის მოქმედების ანგარიში (მომხსენებელი ი. ანდრონიკაშვილი).

2. მოხსენებანი:

ა. მევენახეობის აწინდელი მდგომარეობა (მომხსენებელი გ. წინამძღვარიშვილი).

ბ. მელვინეობის აწინდელი მდგომარეობა (მომხსენებელი სოლ. ჩოლაყაშვილი).

გ. ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა (მომხსენებელი დამსახურებული პროფ. პ. მელიქიშვილი).

3. მოხსენებები ადგილებიდგან.

4. მელვინე-მევენახეთა ყრილობათა წესდების და ღვინის კანონის განხილვა.

5. სასოფლო-სამეურნეო პალატის ორგანიზაცია (მომხსენებელი გ. წინამძღვარიშვილი).

6. ყრილობათა საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ინსტრუქცია

მელვინე-მევენახეთა ყრილობისათვის.

1. ყრილობას იწვევს მელვინე-მევენახეთა ყრილობის საბჭო სასოფლო სამეურნეო პალატასთან შეთანხმებით.

2. ყრილობა გაიხსნება თებერვლის 23-ს შუადღის 12 საათზე და გასტანს 2 დღეს ქ. თბილისში სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ნინოშვილის (ყოფ. ბარიათინსკის) ქ. № 5.

3. ყრილობას შეადგენენ:

ა. თითო წარმომადგენელი-მევენახე ყველა იმ თემებისა, რომელნიც აწარმოებენ მევენახეობას, ბ. თითო წარმომადგენელი მევენახეობის რაიონის ყველა საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციებისა. გ. თითო წარმომადგენელი მევენახეთა და მელვინეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა. დ. თითო წარმომადგენელი ყველა მევენახეობის რაიონების სამაზრო ერობებისა. ე. ერთი წარმომადგენელი ერობათა ცენტრისა. ვ. თითო წარმომადგენელი ქ. თბილისისა, ქუთაისისა და ყველა სხვა ქალაქების თვითმმართველობებისა, ზ. ერთი წარმომადგენელი საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, ᲗᲘ. თითო წარმომადგენელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა, საქაქიზო უწყებისა და ფინანსთა სამინისტროსი, **თ.** ყველა ქალაქთა ღვინით მოვაჭრეთა წარმომადგენლები; მათ შორის ქ. თბილისიდან 3, ქუთაისიდან 2 და დანარჩენ ქალაქებიდან თითო წარმომადგენელი, და **ი. სათათბირო ხმით** მეღვინეობა-მევენახეობის ყველა სპეციალისტები-აგრონომები.

ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაფერი რწმუნება გამომგზავნელ დაწესებულებათაგან.

4. დროის სიმცირის გამო მოხსენებები იქნება მოკლე და განსაზღვრული რიცხვი. მომხსენებლებმა უნდა წინასწარ წარუდგინონ ყრილობის საბჭოს მოხსენების თეზისები.

5. ყრილობის წევრნი უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

სასოფლო-სამეურნეო პალატის
საორგანიზაციო კომიტეტის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეკონომიური არსებობა უმთავრესად დამოკიდებულია სასოფლო მეურნეობის განვითარებასა და განმტკიცებაზედ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძალა ჯერ-ჯერობით დამყარებულია სოფლის მეურნეობაზედ. ამიტომაც უმთავრესი ჩვენი ყურადღება და ძალები სასოფლო მეურნეობის განვითარებისაკენ უნდა იყვეს მიმართული. მხოლოდ მაშინ [illegible] მტკიცე და შეურყეველ ეკონომიურ აღორძინების გზაზედ, როდესაც შევსძლებთ მთელი ჩვენი მიწების დამუშავებას, მათი ნაყოფიერების იმ ზომად გაძლიერებას, რომ დავიკმაყოფილოთ არა მარტო ჩვენი საკუთარი მოთხოვნილება, არამედ ზედმეტ ღირებულების საქონელი შევქნათ და ამით მოვიპოვოთ საკუთარი ადგილი უცხო ქვეყნების ბაზარზედ.

ცხადია მაშასადამე, რომ სოფლის მეურნეობის მოგვარება-მოწესრიგება ჩვენის ახალგაზრდა რესპუბლიკის აღმშენებლობის უმკვიდრეს საფუძველს უნდა შეადგენდეს. ისტორიული მომენტი მძლავრად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო საღს, მტკიცე და გარკვეულ პოლიტიკის ჩამოყალიბებას. საღი პოლიტიკის შექმნა-კი შეიძლება მხოლოდ თვით მეურნეთა სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, რისთვისაც აუცილებელია ჩვენი სოფლის მეურნეთა სამეურნეო ორგანიზაციებად დარაზმვა.

ეს რავდენიმე წელიწადია, რაც სწარმოებს ამგვარი მუშაობა. შესდგა მეღვინე მევენახეთა, მეცხვარე-მესაქონლეთა, მეთამბაქოეთა, მეაბრაშუმეთა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს შედარებით მძიმე პირობებში უხდება განვითარება.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა მოკლებულია სათანადო ყურადღებას, დახმარებასა და მფარველობას. მაშინ, როდესაც ვაჭარსა და მრეწველს ეძლევა სხვა და სხვა გვარი უფლება და დახმარება, როდესაც მას ჰყავს თავისი წარმომადგენელი სახელმწიფო ბანკში, ეკონომიურ საბჭოში და სხვა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებში,-სოფლის მეურნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლებულია ყველა ამ უფლებებს. იგი ვერ სარგებლობს საჭირო კრედიტით, მას არა ჰყავს თავისი ვექილი, მისი ხმა არსად არ ისმის.

გარდა ამისა, საკმარისია გავითვალისწინოთ ის მჭიდრო ურთი-ერთობა, რომელიც არსებობს ჩვენ მეურნეობის ყველა დარგთა შორის, რომ სრულიად ცხადი შეიქმნეს ჩვენთვის უკვე დაარსებულ სამეურნეო ორგანიზაციათა მოქმედების გაერთიანების საჭიროება. სახელმწიფოებრივ სამეურნეო პოლიტიკის პერსპექტივების საუკეთესოდ განხორციელებისათვის, მეტად მიზანშეწონილი უნდა იყვეს ამოძრავება და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმა მთელ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძალებისა.

სამეურნეო პოლიტიკა, შექმნილი და ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ ცენტრში, რაც შეიძლება ფართოთ და ღრმად უნდა ჩასწვდეს მთელს ჩვენს სოფელს, აამუშავოს ადგილობრივი უნარი და ორგანიზაციები. ამგვარი თანამშრომლობა გააცხოვლებს და სასიცოცხლოდ გამოიწვევს დაგროვილს ენერგიას და, რაც უფრო საყურადღებოა, დარაზამს მთელს ჩვენს სოფლის მეურნეობას და ამით დიდს დახმარებას გაუწევს სახელმწიფოს მის აღმშენებლობაში.

ამ მოსაზრებით სრულიად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაკანონდეს უკვე შემდგარი, ამასთანავე წარმოდგენილ წესდების ნიადაგზედ, დაწესებულება-„სასოფლო მეურნეობის პალატა“, რომლის მთავარი მიზანი და დანიშნულებაც არის სამეურნეო პოლიტიკაში სამეურნეო ძალთა და ორგანიზაციათა სახელმწიფოებრივ ცენტრთან თანამშრომლობის განხორციელება, სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციათა და ძალთა მოკრება და მათი წარმომადგენლობა.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, გთხოვთ თქვენს ავტორიტეტულს დასტურს და დახმარებას ამ დიდ საქმეში. ქალ. თბილისი 1920 წლ. დეკემბერი.

სასოფლო მეურნეობის პალატის წესდება

1. პალატის მიზანი და დანიშნულება

§ 1. საქართველოს სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხთა განსახილველად და გასაძღოლად და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ყოველ შეკავშირებულ დარგთა მოქმედების შესათანხმებლად ქალ. თბილისში არსდება სასოფლო სამეურნეო პალატა.

პალატის დამფუძნებელნი არიან: საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობა და მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობა თავის საბჭოთა სახით.

§ 2. პალატას მიზნად აქვს: ა) შეკავშირება თვითმართველობის საფუძველზედ სოფლის მეურნეთა და სასოფლო-სამრეწველო დაწესებულებათა იმ აზრით, რომ დაცულ იქმნეს წარმომადგენლობა და საზოგადო ინტერესები ადგილობრივ მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისა; ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინტერესების მიხედვით სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის განვითარებასა და განმტკიცებას.

§ 3. მეორე მუხლში დასახულ მიზნების განსახორციელებლად პალატა სთვლის თავის დანიშნულებად: ა) სასო-

ფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის განვითარებისათვის სასარგებლოთ დაწესებულებათა შექმნას, წარმოებას და მათთვის დახმარების აღმოჩენას, ბ) მთავრობის, სახელმწიფო, საერობო და საზოგადო დაწესებულებათათვის დახმარებას იმ საშუალებათა გამოკვლევაში და განხორციელებაში, რომელნიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის განვითარებას საქართველოში, გ) დამუშავება და ცხოვრებაში გატარება კანონმდებელ და სახელმწიფო დაწესებულებათა საშუალებით იმ კანონებისა და განკარგულებებისა, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის განვითარებას. დ) სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობისათვის სასარგებლო ცოდნათა გავრცელებას სკოლების, სახელმძღვანელოთა და სპეციალურ ჟურნალ გაზეთების გამოცემის, სახალხო ლექციების, ინსტრუქტორების დანიშვნის თუ თათბირების მოწყობის საშუალებით, გამოფენათა და ნაწარმოების ან იარაღ-მანქანების შეჯიბრებათა გამართვას. ე) სასოფლო-მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობისათვის საჭირო სტატისტიკურ და სხვა ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრება-გამოქვეყნებას და ყველა დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობათა აღძვრას. ვ) სოფლის მეურნეობის და სამეურნეო მრეწველობის ნაწარმოებთა ფალსიფიკაციასთან ბრძოლას. ზ) სამელიორაციო კრედიტებზედ ზრუნვას.

§ 4. წესდებით დასახულ მიზანთა მისაღწევათ პალატას უფლება აქვს: ა) წარუდგინოს მთავრობას და საზოგადოებრივ მმართველობას თავისი მოსაზრებანი სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ. ბ) იყოლიოს წარმომადგენლები სახელმწიფო, საერობო და სხვა საზოგადო დაწესებულებებში და თათბირებში მონაწილეობის მისაღებათ იმ საკითხების განხილვის დროს, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო-მეურნეობასა და სამეურნეო მრეწველობასთან, მაგალითად: რკინის გზების ტარიფების, სავაჭრო-საზღვაო მიმოსვლის, საბაჟო და სავაჭრო გადასახადების, აქციზის დაწესების ან გადასინჯვის დროს. გ) აირჩიოს, ხოლო შესაფერ შემთხვევაში დააწესოს საარჩევნო წესი, წარმომადგენელნი სასოფლო-სამრეწველო საზოგადოებრივ და მმართველობის დაწესებულებათა და საბჭოებში, სადაც ასეთი წარმომადგენლობა ნებადართულია კანონით ან საჭიროა საქმის მდგომარეობის გამო. დ) იქონიოს ბიურო მეურნეთა და სამეურნეო მრეწველთა კრედიტის უნარის შესახებ. ე) შეასრულოს თავის მიზნებთან შეფარდებული და ამ წესდებით განსაზღვრული ყოველივე სხვა მოვალეობა.

§ 5. პალატა არსდება საქართველოს დედა ქალაქში და საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიან დაარსოს თავისი განყოფილებანი. პალატის განყოფილება მოქმედებს თანახმად ინსტრუქციისა, რომელიც შემუშავებული უნდა იქმნეს პალატის კომიტეტის მიერ და დადასტურდეს პალატის წევრთა საზოგადო კრების მიერ.

§ 6. პალატა ცნობილია იურიდიულ პიროვნებათ და აქვს კანონიერი უფლება უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, დაქირავება-გაქირავებისა, დაგირავებისა, ხელშეკრულობათა შეკვრისა, ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულობათა მიღება-გაცემისა, სასაზართლოს წინაშე საჩივრის აღძვრის და პასუხისგებისა, შემოწირულება-მემკვიდრეობის მიღებისა; ამას გარდა პალატას უფლება აქვს შევიდეს წევრათ მის მიზნებისთვის შესაფერ სხვა და სხვა საზოგადოებასა და დაწესებულებებში.

§ 7. პალატას უფლებე აქვს აიღოს სესხი, რომლის პირობებს საზღვრავს ან თვით პალატა, ან მისი დავალებით პალატის კომიტეტი.

§ 8. პალატა წარმომადგენლობს სასოფლო-სამეურნეო ყოველივე დარგის შეკავშირებულ ორგანიზაციას. სასოფლო-სამეურნეო ყოველ ყრილობის მიერ შემოღებული გადასახადის დაწესების საკითხი სათანადო დაწესებულებაში წარდგენილ უნდა იქმნას პალატის მიერ.

§ 9. პალატა ექვემდებარება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწად-მოქმედების სამინისტროს სათანადო საკითხებში და ემორჩილება მათ ზედამხედველობას. იგი ვალდებულია წარუდგინოს ხსენებულ სამინისტროებს თავისი მოქმედების შესახებ ყოველ წლიური ანგარიში, შემოსავალ-გასავალი, ხარჯთაღრიცხვა და სია პალატის პირად შემადგენლობისა.

§ 10. პალატის მიწერ მოწერა სახელმწიფო თუ კერძო პირებთა და დაწესებულებებთან განთავისუფლებულია საღერბო და საფოსტო გადასახადისაგან.

§ 11. პალატას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით: „საქართველოს სასოფლო მეურნეობის პალატა“.

2. პალატის შემადგენლობა

§ 12. პალატა შესდგება არა ნაკლებ 32 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს სასოფლო-სამეურნეო ყოველ დარგთა ყრილობათა საბჭოები შემდეგის წარმომადგენლობით:

1.	მეღ. მევენახ.	ყრ.	თავის საბჭოს	7 წ.
2.	მესაქ.-მეცხვ.	„	„ „	7 „
3.	მხვნელ-მთესვ.	„	„ „	5 „
4.	მეხილე-მებაღ.	„	„ „	4 „
5.	მეთამბაქოეთა	„	„ „	3 „
6.	მეაბრეშუმეთა	„	„ „	2 „
7.	მეფუტკრეთა	„	„ „	1 „
8.	შინა მრეწვ.	„	„ „	1 „
9.	სასოფლო-სამეურ.		საზოგად.	1 „
10.	სახელ. უნივ.		აგრონ. ფაკულ.	1 „

შენიშვნა 1. პალატის შემადგენლობა შეიძლება შეივსოს პალატის სათანადო დასტურით იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდა სხვა რაიმე დარგის სასოფლო სამეურნეო მუდმივი ყრილობა.

შენიშვნა 2. ის დარგები, რომელთაც ჯერ არ ჰქონიათ ყრილობა, წარმოდგენილნი არიან პალატაში ამ დარგებში არსებულ ეკონომიურ ორგანიზაციათა საშუალებით, იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ორგანიზაციები სათანადო განცხადებას შეიტანენ პალატის კომიტეტში და პალატის დასტურს მიიღებენ.

შენიშვნა 3. პალატა აწყობს იმ დარგების ყრილობებს, რომელნიც არ არიან შეკავშირებულნი.

შენიშვნა 4. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ პალატაში წარმომადგენლობის უფლება არა აქვთ.

3. პალატის საშუალებანი

§ 13. პალატასა და მის მართველ ორგანოს ხარჯთა გასაძღოლათ პალატაში წარმოდგენილ სხვა და სხვა დარგთა ყრილობების მიერ გადაირიცხება მათ წესდებით მიღებულ გადასახადთა 15 %

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. სასოფლო სამეურნეო ყოველ დარგის ყრილობის მიერ დაწესებული გადასახადი იკრიფება სახაზინო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საშუალებით იმავე დროსა და იმავე წესით, როგორითაც ხდება სახელმწიფო გადასახადების მოკრეფა. ამ რიგად მიღებული შემოსავალი სახაზინოებმა და ყველა სხვა დაწესებულებებმა ყოველ თვიურად უნდა გადასცენ სათანადო სიით სასოფლო სამეურნეო პალატას, რომელიც მე 12 §-ში განსაზღვრულ პროც.-ის გამოკლებით გადასცემს სათანადო სამეურნეო დარგის ყრილობის მმართველს ორგანოს.

შენიშვნა 2 ის ეკონომიური ორგანიზაციები, რომელნიც წარმოადგენენ პალატაში რომელიმე ყრილობით შეუკავშირებელს სასოფლო სამეურნეო დარგს, გადარიცხავენ პალატის განკარგულებაში თავის შემოსავლის მიხედვით განსაზღვრულს თანხას.

§ 14 მე-13 §§-ში მოხსენებულ გადასახადის გარდა პალატის თანხებს შეადგენს: ა) % პალატის კუთვნილ კაპიტალისა და ქონებისაგან ბ) მოწმობებისა და სხვა საბუთების გაცემით მიღებული გადასახადი და გ) სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი.

§ 15. სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობისათვის სასარგებლო დაწესებულებათა შესანახად და დასაარსებლათ პალატას შეუძლიან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით პროცენტიანი ვალი აიღოს.

§ 16. პალატას ენიჭება. უფლება შეჰქმნას თავის შემოსავლიდან სხვა და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების თანხები.

4. პალატის საქმეთა მართვა გამგებლობა.

§ 17 პალატა თავის მიზნებსა და მოვალეობას ანხორციელებს ა) პალატის წევრთა საზოგადო კრებით, ბ) პალატის კომიტეტით და გ) სარევიზიო კომისიით.

შენიშვნა: გარდა ზემოხსენებულ ორგანოებისა პალატას უფლება აქვს დაარსოს დროებითი ან მუდმივი სპეციალი კომისიები ან განყოფილებანი სხვა და სხვა საკითხთა წინასწარ შესამუშავებლათ და პალატის მოქმედების ცალკე დარგთა გამგებლობისათვის. ყოველ კომისიის ან განყოფილების წევრთა რაოდენობას და აგრეთვე მათს უფლებასა და მოვალეობას განსაზღვრავს პალატის წევრთა საზოგადო კრება.

5. პალატის კომიტეტი. მისი უფლებანი და მოვალეობანი.

§ 18. პალატის საქმეებს განაგებს პალატის კომიტეტი, რომელსაც ბინა თბილისში აქვს. კომიტეტი შესდგება ერთი თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და კომიტეტის ხუთი წევრისაგან, რომელნიც უნდა არჩეულნი იყვნენ პალატის წევრთა საზოგადო კრებისმიერ სამი წლის ვადით და რომელთაც საარჩევნო უფლება უნდა ჰქონდეთ. პალატის კომიტეტის წევრებს შეიძლება პალატის საზოგადო კრების დადგენილებით დაენიშნოს გასამრჯელო.

§ 19. პალატის კომიტეტი წარმომადგენლობს პალატას ყველა საქმეებში და დამოკიდებულებაში სხვა და სხვა პირებთან თუ დაწესებულებებთან. კომიტეტისა და მის ცალკე წევრთა უფლება მოვალეობას განსაზღვრავს პალატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

§ 20. კერძოთ საბჭოს ევალება ა) შედგენა წესებისა და ინსტრუქციებისა სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების ყრილობათა განვითარეისა და მოქმედების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ პალატის საზოგადო კრებისათვის წარსადგენათ ბ) მიღება და გაცემა ფულისა და პალატის ყოველივე საშუალებებისა, გ) ვალდებულებათა გაცემა პალატის მიერ ნებადართულ ფარგლებში დ) ყოველგვარ პირობათა და ხელშეკრულებათა დადება პალატის სახელით ე) სხვა პირთათვის რწმუნებათა და ვექილობის მიცემა. ვ) საჭირო უძრავ-მოძრავი ქონებისა და საქონლის ყიდვა-გაყიდვა, მათი დაგირავება და პალ. ქონების დაზღვევა. ზ) საჭირო ბინებისა და საწყობების დაქირავება. ᲗᲘ. მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა და მათი მოვალეობისა და მუშაობის განსაზღვრა თ) შედგენა ცალკე კომისიებისა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება მინიჭებული აქვს კომიტეტს პალატის მიერ. ი) ანგარიშების და წიგნების და პალატის საქმეთა შესახებ მიწერ-მოწერის წარმოება, ია) წლიურ ანგარიშების, ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმათა შედგენა და მათი წარდგენა პალატისათვის. იბ) პალატის წევრთა და საზოგადოთ გამგებლობა ყველა საქმეებისა, რომელნიც ეკუთვნის პალატის დანიშნულებას, და მის მიერ არიან კომიტეტისადმი დავალებულნი, და ყველა სხვა მოვალეობანი, რომელნიც არსებითად გამომდინარეობს ამ წესდების შინაარსიდან.

§ 21. ყოველ წლიურად კომიტეტის წევრთა მესამედი სტოვებს სამსახურს ამორჩევის უფროსობის მიხედვით. პირველ ორ წელიწადს კომიტეტის წევრნი კენჭის ყრით გამოდიან, გარდა თავმჯდომარისა, რომელიც სამ წელიწადს ასრულებს; გამოსული წევრნი კომიტეტისა შეიძლება ხელმეორედ იქნენ არჩეულნი.

§ 22 კომიტეტი თავის წევრთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და საზოგადოთ ანაწილებს წევრთა შორის მოვალეობებს.

§ 23. კომიტეტი იკრიბება საჭ-როებისამებრ, მხოლოდ არა ნაკლებ ვიდრე კვირაში ერთხელ; კომიტეტის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი ამხანაგი და სამი წევრი; კომიტეტის სხდომაზე საკითხები სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით; იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბარია, თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს, კომიტეტის დადგენილებანი იწერება განსაკუთრებულ წიგნში და დამსწრე წევრნი აწერენ ხელს.

§24 ყოველ გვარს მიწერ მოწერას კომიტეტი აწარმოებს პალატის თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის ხელის მოწერით.

§25. თამასუქები, რწმუნებულებანი, ხელწერილები, ხელშეკრულებანი, ნასყიდობის ქაღალდები და სხვა აქტები, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებიდან პალატათა თანხების მიღების მოთხოვნილებანი უნდა იყოს ხელმოწერილი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის და კიდევ ერთ-ერთ წევრის მიერ. ფოსტიდან ფულის ამანათის და საბუთების, აგრეთვე შესანახად შეტანილ სარგებლიან ქაღალდების და კუპონების მისაღებად საკმარისია ხელის მოწერა კომიტეტის ერთი წევრისა პალატის მეჭდის დასმით.

§ 26. კომიტეტი ხარჯავს ფულს თანახმად პალატის მიერ მიღებულ ხარჯთაღრიცხვისა; პალატამვე უნდა განსაზღვროს იმ ხარჯის რაოდენობა, რომლის დახარჯვაც კომიტეტს შეუძლიან ხარჯთაღრიცხვის ზედმეტათ—ვინიცობაა ხარჯი მოულოდნელი და გადაუდებელია;—ამ შემთხვევაში კომიტეტის წევრნი პასუხის მგებელნი არიან პალატის წინაშე; ამ გვარი ხარჯის გაწევა პალატამ უნდა გადასწყვიტოს თავის შემადგენლობის არა ნაკლებ ორი მესამედი ხმით.

6. ანგარიში და რევიზია

§ 27. კომიტეტი ვალდებულია შეადგინოს ყოველ განვლილი წლის წლიური ანგარიში და მისი თანხების ტრიალის ბალანსი. აგრეთვე უნდა შედგენილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებისა მომავალი წლისათვის; ხოლო ყველა ესენი პალატას წარედგინება დასამტკიცებლად სარევიზიო კომისიის მიერ განხილვისა და შესწორების შემდეგ.

შენიშვნა. ანგარიში უნდა იყოს შედგენილი და კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მიერ ხელმოწერილი არა უგვიანეს ერთი თვისა პალატის წევრთა საზოგადო კრების დღემდე, რომელსაც ეს ანგარიში უნდა წარედგინოს. ამ ერთი თვის განმავლობაში ანგარიში განსაზღვრულ დროს კომიტეტის ბინაზე მსურველთათვის ღია უნდა იყოს გადასათვალიერებლად.

§ 28. პალატის საანგარიშო წელიწადი იწყება იანვრიდან და თავდება 31 დეკემბერს; თუ პალატა შესდგა საანგარიშო წლის განმავლობაში, პირველი საანგარიშო წელი ითვლება მოქმედების დაწყებიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

§ 29. სარევიზიო კომისიას პალატა ირჩევს არა ნაკლებ სამი წევრისა და ორი კანდიდატისაგან ერთი წლის ვადით იმ პირთა შორის, რომელნიც არ შედიან კომიტეტის შემადგენლობაში და არც რაიმე თანამდებობა უკავიათ პალატის საქმეებში.

§ 30. სარევიზიო კომისიას ევალება მომავალ საზოგადო კრების დღემდე ერთი თვით ადრე გადასინჯვა წარსული წლის ანგარიშების ბალანსისა და მათთან დაკავშირებულ დავთრების საბუთების და ანგარიშებისა, რომელნიც თავისი დასკვნით შეაქვს საზოგადო კრებაზე. სარევიზიო კომისიას აქვს უფლება აგრეთვე მოულოდნელი რევიზიისა.

§ 31. სარევიზიო კომისიის მოქმედების განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ თვით პალატასთან, ხოლო საჩივარი მიეცემა სარევიზიო კომისიას, რომელმაც იგი თავისი დასკვნით უნდა წარუდგინოს უახლოეს საზოგადო კრებას.

7. **პალატის წევრთა საზოგადო კრება.**

§ 32. კომიტეტის წევრთა საზოგადო კრებები არის ჩვეულებრივი ანუ წლიური და არაჩვეულებრივი; ჩვეულებრივ საზოგადო კრებას კომიტეტი იწვევს ყოველ წელს არა უგვიანეს მაისისა წარსული წლის ანგარიშის, შემდეგი წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად და აგრეთვე კომიტეტის წევრების და სარევიზიო კომისიის ასარჩევად. კომიტეტის წევრთა საზოგადო კრებაზე ირჩევა და სწყდება სხვა საკითხებიც, რომელნიც კომიტეტის უფლებას აღემატებიან ან და აღძრულნი იქნებიან თვით პალატის მიერ. გარდა წლიური კრებისა პალატა უნდა იკრიბებოდეს ყოველ სამ თვეში ერთხელ მორიგ საკითხთა განსახილველად.

§ 33. არაჩვეულებრივ კრებას იწვევს კომიტეტი თავისით, ან პალატის წევრთა ერთ მეხუთედის ან და სარევიზიო კომისის მოთხოვნილებით. ამგვარი მოთხოვნილება პალატის წევრებისა ან სარევიზიო კომისიისა სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს ორი თვისა დღიდან კომიტეტში პალატის საზოგადო კრების წევრთა მოწვევის შესახებ განცხადების შეტანისა.

§ 34. პალატის საზოგადო კრების პრეზიდიუმს ირჩევს თვით კრება; მის არჩევამდე კრებას ხელმძღვანელობს კომიტეტის პრეზიდიუმი.

§ 35. პალატის საზოგადო წევრთა კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო არა ნაკლები პალატის ყველა წევრთა ორი მესამედი რიცხვისა; ვინიცობაა ეს წევრთა რიცხვი კრებაზე არ დაესწრო, ოცდა ოთხის საათის შემდეგ ინიშნება პირველი კრების მაგიერ მეორე კრება, რომელიც კანონიერია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

§ 36. პალატის წევრთა საზოგადო კრების მიერ განსახილველი ყველა საკითხი უნდა იყოს შეტანილი პალატაში თვით კომიტეტის მიერ. ამიტომ წევრმა, რომელსაც სურს პალატაში რაიმე საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა

თხის შეტა , უნდა წერილობით მიჰმართოს კომიტეტს არა უგვიანეს ათი დღისა პალატის წევრთა საზოგადო კრების დღემდე; ეს წინადადება-განცხადება კომიტეტმა უნდა წარუდგინოს პალატას თავისი დასკვნით.

§ 37 პალატის დადგენილებანი უნდა იყოს შეტანილი ოქმში, რომელსაც ხელს აწერს პალატის წევრთა საზოგადო კრების თავმჯდომარე, ყველა დამსწრე კომიტეტის წევრი ხუთი პალატის წევრი მაინც.

§ 38. დრო და ბინა პალატის წევრთა საზოგადო კრებისა უნდა იყოს გამოქვეყნებული ერთი თვის წინ ოფიციალურ გაზეთში; გამოქვეყნებულს დაბეჭდილს განცხადებაში სავსებით უნდა იყოს მოყვანილი საზოგადო კრების მიერ განსახილველი საკითხები.

§ 39. პალატის წევრთა საზოგადო კრებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ პალატის წევრნი. ხმის გადაცემა დაუშვებელია. ყველა საკითხი, არჩევნების გარდა კრებაზე სწყდება კრების სურვილით კენჭის ყრით, ან ბარათების მიწოდებით, ან და წევრთა ფეხზე ადგომით. თვით ამ წესრიგის საკითხი გადაწყდება წევრთა ფეხზე ადგომით. არჩევნები კრებაში მოხდება მხოლოდ ფარული კენჭის ყრით.

§ 40. ეს წესდება შეიძლება შეივსოს ან შეიცვალოს პალატის წევრთა საზოგადო კრებაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმის უმრავლესობით მიღებულ დადგენილების თანახმად და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ღვინის წარმოება

(გაგრძელება)

სიცივის მოქმედება ღვინოზე. თუმცა ჩვენში იშვიათად იცის დიდი სიცივეები, მაგრამ, მაინც ჩვენც გვეწვევა ხოლმე ყინვები, როგორც მაგალითად წრევანდელი წელიწადი იყო; ამას გარდა რუსეთის ბაზარი ყოველთვის არ დარჩება ჩვენთვის დახშული და იქით უეჭველად მოგვიხდება ხოლმე ღვინოების გაგზავნა. ამის გამო კარგი იქნება მოკლედ მოვიხსენიოთ, თუ რა გავლენას ახდენს ღვინოზე ყინვა.

თუ სითბომ ისე დაბლა დაიწია, რომ წყლის გაყინვის წერტილის დაბლა—4 მენაკამდე (გრადუსამდე) მიაღწია, მაშინ ღვინო ჩვეულებრივ აიმღვრევა ხოლმე. ეს ამღვრევა შედეგია იმისა, რომ ღვინოში არსებული ღვინის ქვა დაბალ სითბოზე ნაკლებად იხსნება ღვინოში და ამის გამო დალექვას იწყებს, ღვინოში გახსნილი ღვინის ქვა წვნიკ დამნებად (კრისტალებად) გადაიქცევა ხოლმე და სანამ ის ჭურჭლის ძირში დაილეკება ღვინოს მღვრივე შეხედულებას აძლევს. ღვინის შეთბობით ეს სიმღვრივე თუმცა ძნელად, მაგრამ ხშირად ისევ გაჰქრება ხოლმე, რადგან დალექას დაწყებილი დამნები (კრისტალები) ისევ გაიხსნებიან ხოლმე; თუმცა არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ერთხელ დალექილი ღვინის ქვა თავისით აღარ გაიხსნება. თუ ღვინო ძალიან მჟავეა, ამ შემთხვევაში ღვინის ქვის დალექვა მას სიმჟავეს შეუმცირებს და, მაშასადამე, არგებს კიდეც რასაკვირველია. შემჩნეულია, რომ როდესაც ღვინის გაციების დროს ღვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ქვა ილექება, მასთან ერთად ილექება ღვინოში არსებული ზოგიერთი სხვა სხეულები, ცილა ნივთიერებანი, რომლებსაც იხვევენ ღვინის ქვის დამნები (კრისტალები) და იხვეწავენ.

ამ მოვლენით სარგებლობენ იმ შემთხვევებში, როდესაც ღვინოს ისეთი სიმღვრივე შეეპარება, რომლის გაშორებაც არა ხერხდება არც რამე დაწმენდის და არც გაწურვის საშუალებით. მაშინ ამისთანა ღვინოებს ცივად დააწყობენ ხოლმე და ეს სიმღვრივე თავისით დაილექება და გაშორდება ხოლმე ღვინოს.

თუ ღვინო—4°-ის დაბლა გავაცივეთ (—5°—10°-მდე), მაშინ ის გაითოშება ხოლმე: დაილექება ფირა დამნები (კრისტალები), რომლებიც წმინდა ყინულს ანუ გაყინულს წყალს წარმოადგენენ, ხოლო ღვინის სხვა შემადგენელი ნაწილები კი, განსაკუთრებით ძალარი (სპირტი) ხსნარში დარჩება. ამნაირად გათოშვის საშუალებით შესაძლებელი ხდება ძალიან მაგარი ღვინოების დამზადება, თუ ჩვენ ღვინოს მოვაშორებთ გაყინულს წყალს ანუ ყინულს. ამ გაყინვის დროს რასაკვირველია ღვინის ქვაც დაილექავს და, თუ ღვინო ჯერ ახალგაზდაა, დაილექება მასთანვე ერთად აგრეთვე მრავალი სხვა სხეულებიც, რომლებსაც უიმისოდ დიდი ხანი დასჭირდებოდათ ღვინიდან გამოსაცლელად: მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მათ თან გაჰყვებოდა ისეთი სხეულებიც, რომელიც სასურველი არ არის რომ ღვინოს მოაკლდეს, როგორც მაგალითად: საფერავი, გამოხსნარები (ექსტრაქტი). ყოველივე ამის მიხედვით სარჩევი არ არის გასასყიდ ღვინის გაგზავნა ზამთრის დროს, ხოლო თუ სადმე ჯერ დასაწყობად გაიგზავნა, მაშინ მას იძულებულ არა უჭირს რა, რადგანაც ფოთხილი და თანდათანობითი გათბობით ამღვრევით გამოწვეული ნალექი მეტ-წილად ისევ გაიხსნება, ღვინო კვლავ გამჭვირვალედ გახდება და პირველში შეშლილი გემო რავდენიმე ხნის შემდეგ ცოტად თუ ბევრად ისევე დაუბრუნდება.

დამწიფებული ღვინო. სანამ ღვინო თავის უმაღლეს განვითარების წერტილს მიაღწევს კარგა ხანი სჭირდება მას და მარანში ბევრს მოვლისა და თვალყურის დევნებას მოითხოვს. ეს ყველაფერი მეღვინეობის განსაკუთრებულ დარგს, მემარნეობას ეკუთვნის და ამის შესახებ ცალკე იქნება წერილები მოთავსებული. ეხლა კი აქ მოკლედ მინდა ამისი თქმა, თუ როგორ ხასიათდება ღვინის დამწიფება.

ამის შესახებ თითქმის სრულებით ვერაფერს გვეტყვის ნივთგნური აღლევა ანუ ქიმიური ანალიზი. აქ ჩვენ მხოლოდ ჩვენს გემოვნებაზედა ვართ მინდობილი. ამის მიხედვით ღვინო დამწიფებულად ჩაითვლება, როდესაც მისი გემო და სურნელოვანება შეთანხმებით საამურად მოქმედებენ ჩვენს გემოვნების და ყნოსვის გრძნობებზე და ამავე დროს ეს თვისებები უმაღლესად აქვთ განვითარებული. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე ღვინის გამჭვირვალობა და ფერის სიხალისე. საერთო და მუდმივ რამ თვისებებზე ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია, რადგან ზემონათქვამს ემატება აგრეთვე ღვინის მომხმარებელის გემოვნებაც: ზოგ ადამიანს სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გვარი ღვინო მოსწონს და, თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ სხვა და სხვა ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენებში სხვა და სხვა გვარ ღვინოებს ეტა ნასანა. მაშინ ცხადი გახდება ხავსებით, რომ შეუძლებელია დამთავრებულ-დამწიფებული ღვინის გემოვნების მხრივ დასახასიათებლად რამე საერთო წესები წამოდგენილიყოს. მაგალითად წინათ მით უფრო უკეთესად მიაჩნდათ ღვინო, რაც იგი უფრო ძველი იყო. ეხლა კი უფრო ისეთს ღვინოს ეტანებიან, რომელსაც ახალგაზდური სიხალისე თანასდევს, რაოდენადმდე მმუშხავია.

ზოგი ღვინო ჩქარა მწიფდება, ზოგს უფრო დიდი დრო სჭირდება. მომწიფებული ღვინო უნდა დროზე ბოთლებში ჩაისხას: მსუბუქი ღვინისა უსათუოდ საჩქაროდ გასასყიდათ, ხოლო უფრო მაგარ და ჯანიანებისა კი შესანახადაც. მსუბუქ და თხელ ღვინოებს ხშირად მომწიფებამდე ასადებენ ბაზარში, რადგან მასში დარჩენილი აუდულარი შაქარი, დაულექავი გამოხსნარი (ექსტრაქტი) და გახსნილი ნახშიანგი (CO_2) მას საამურ სასმელსა ჰხდის; ხოლოთ თუ ჩვენ დიდხანს შევინახეთ იგი, მაშინ ყველაფერი ეს მასალა გამოეცლება, ყოველნაირ ლირსებას დაჰკარგავს და ღვინოს ფასიც დაეკარგება. ყოველივე ეს მით უფროა მხედველობაში საჭირო, რომ ამისთანა ღვინოები ძნელად უძლებენ სხვა და სხვა ავადმყოფობებს და ადვილად ფუჭდებიან. თუმცა დიდი სიფრთხილის და სხვა და სხვა ზომების მიღებით შეიძლება ამ ღვინოების ავადმყოფობისგან გადარჩენა, მაგრამ გაფლანგული ჯაფა და ხარჯები არ ანაზღაურდება, რადგანაც ამისთანა ღვინოები, როგორც უკვე ზევითა ვსთქვით, დიდხანის შენახვით მხოლოდ ლირსებას დაჰკარგავენ და ვერაფერ უპირატესობის კი ვერ მოიმატებენ. როგორც ყველაფერი ბუნებაში ღვინოც დამწიფების შემდეგ სიბერეში გადავა. ამის გამომწვევია ერთის მხრით ჰაერის ჟანგბადი და მეორის მხრით ღვინოში არსებული მცენარეები (ბაქტერიები). ამ მკიების გავლენის შესამცირებლად სცდილობენ ღვინო დაწმენდილი ჩაასხან ბოთლებში, რომ ეს მკიები შეძლების გვარად არ ჩაჰყვნენ ღვინოს ბოთლში (თუმცა კარგი ჯიშის მკიას ხან და ხან განგებაც ჩააყოლებენ ხოლმე ღვინოს თვისების გასაუმჯობესებლად, მაგრამ თუ ღვინისათვის მავნე ჯიშის მკია ჩაჰყვა ბოთლში, ის ადვილად წაახდენს ღვინოს). ჰაერის გავლენის შესამცირებლად კი სწორედ შუშის ჭურჭელია შესაფერი, მხოლოდ პირი რასაკვირველია კარგად უნდა იყოს დაცობილი. და საცობი რომ არ გაშრეს, არ გახმეს, ჰაერი ადვილად არ ჩავიდეს ღვინოში, ბოთლებს დაწოლილს ინახავენ, რომ საცობი მუდამ სველი იყოს და ბოთლს პირს მჭიდროდ უცავდეს.

მიხ. შალამბერიძე

(გაგრძელება იქნება)

კორესპონდენტებს საყურადღებოდ.

გთხოვთ ნუ დაიწყებთ და ქურნალის მასალა დროზე მოგვაწოდეთ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი"

საზოგადოება „კახეთი" არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მეგვინახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი"-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მეგვინახეს და აგრეთვე ყველა მას, ვინცაკი ჩაბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ყოველ წლივ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი"-სა მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5, ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი გოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი"-ს მთავარი საწყობები კახეთში ორ ალაგას არის მოწყობილი: თელავში „კახეთი"-ს ბიურო ალექსანდრე მაყაბეველთან და კარდანახში, „კახეთი"-ს ბიურო ნიკოლოზ დარაბეველთან.

ტფილისი ქართული ბეჭდითი ამხანაგობისა, რუსთაველის ქრ., № 26.